აწმყო და წარსულის გაკვეთილები

ინოვაციებისა და სამოქალაქო
განვითარების ცენტრი
„პროგრესის სახლი“

საგაზეთო ჩანართი №6 (17), 2026 წ.

თქვენ წინაშეა საგაზეთო ჩანართი, რომელიც მომზადებულია მოხალისეობრივ საწყისებზე. პროექტს ახორციელებს **ოზურგეთის ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი – პროგრესის სახლი.**

გამოცემაში პერიოდულად წარმოგიდგენთ პუბლიკაციებს, სხვადასხვა დროსა და სივრცეში შექმნილ ნაშრომებს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული ღირებულებების შესახებ. ჩვენი მიზანია, მკითხველს წარმოვუდგინოთ ქართველი და უცხოელი ავტორების მოსაზრებები სამოქალაქო ფასეულობების როლსა და მნიშვნელობაზე

პროგრესის სახლი.

18 წელი რუსეთის სამხედრო აგრესიიდან

საქართველოს ტერიტორიის 20% კვლავ ოკუპირებულია

2026 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომიდან 18 წელი შესრულდა.

წლების განმავლობაში მზარდი დაძაბულობის, შეიარაღებული პროვოკაციებისა და რუსეთის პოლიტიკური თუ სამხედრო ჩარევის შემდეგ, 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციამ საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია განახორციელა. რუსეთის რეგულარული არმია საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრა; რუსულმა ავიაციამ დაბომბა გორი, ფოთი, სენაკი და სხვა ქალაქები და დასახლებული პუნქტები, სამხედრო ძალებმა კი ქვეყნის სიღრმეში შემოაღწიეს.

2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანმა ომმა ასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ათასობით ოჯახი კი საქართველოში საკუთარი სახლიდან გამოაძევა. ევროკავშირის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი საგამოძიებო მისიის მონაცემებით, კონფლიქტის შედეგად ყველა მხარეს დაახლოებით 850 ადამიანი დაიღუპა, ხოლო საცხოვრებლის დატოვება 100 000-ზე მეტ ადამიანს მოუხდა.

საქართველოს ოფიციალური მონაცემებით, ქვეყანამ 412 ადამიანი დაკარგა – მათ შორის 228 მშვიდობიანი მოქალაქე, 170 სამხედრო და 14 პოლიციელი. 1 700-ზე მეტი ადამიანი დაიჭრა, ათასობით მოქალაქე კი დევნილად იქცა.

2008 წლის 12 აგვისტოს, ევროკავშირის შუამავლობით, ცეცხლის შეწყვეტის ექვსპუნქტიანი შეთანხმება გაფორმდა. ბრძოლა შეწყდა, მაგრამ მშვიდობა არ დამდგარა. რუსეთმა შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები სრულად არ შეასრულა და სამხედრო ძალები ომამდელ პოზიციებზე არ დააბრუნა.

26 აგვისტოს რუსეთმა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობა აღიარა, მოგვიანებით კი ორივე რეგიონში სამხედრო ბაზები განათავსა.

შედეგად, საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიის დაახლოებით 20 პროცენტი კვლავ რუსეთის სამხედრო ოკუპაციის ქვეშ რჩება.

საოკუპაციო ხაზთან მავთულხლართების გავლება, ე.წ. ბორდერიზაცია, ადამიანების უკანონო დაკავება, გატაცება და თავისუფლად გადაადგილების აკრძალვა ომის ყოველდღიურ გაგრძელებად იქცა. საოკუპაციო ძალები ადგილობრივ მოსახლეობას ართმევენ მიწას, სახნავ-სათეს ფართობებს, წყალსა და ოჯახის წევრების საფლავებთან მისვლის შესაძლებლობასაც კი.

ამ რეალობის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე მაგალითია თამაზ გინტურის მკვლელობა. 2023 წლის 6 ნოემბერს,

სოფელ კირბალის მახლობლად, რუსეთის საოკუპაციო ძალებმა საქართველოს მოქალაქე თამაზ გინტური მოკლეს, მასთან მყოფი ლევან დოთიაშვილი კი უკანონოდ დააკავეს. გინტური და დოთიაშვილი საოკუპაციო ხაზს მიღმა დარჩენილ ლომისის წმინდა გიორგის ეკლესიასთან იმყოფებოდნენ. ევროპარლამენტმა გინტურის მკვლელობა და დოთიაშვილის გატაცება მკაცრად დაგმო და საქმის სრულყოფილი გამოძიება მოითხოვა.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში 2008 წლის ოქტომბრიდან მუშაობს, თუმცა რუსეთისა და დე ფაქტო რეჟიმების წარმომადგენლები მის დამკვირვებლებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში შესვლის უფლებას დღემდე არ აძლევენ.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ 2008 წლის 12 აგვისტოს შემდეგ რუსეთი ცხინვალის რეგიონზე, აფხაზეთსა და ე.წ. ბუფერულ ზონაზე „ეფექტურ კონტროლს" ახორციელებდა. სასამართლომ რუსეთი პასუხისმგებლად ცნო მკვლელობების, წამების, არაადამიანური მოპყრობის, უკანონო დაკავებების, ძარცვის, სახლების განადგურებისა და ეთნიკური ქართველების საკუთარ საცხოვრებლებში დაბრუნების ხელშეშლისთვის – "ECHR-ის გადაწყვეტილება". საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლომ კი 2008 წლის ომის დროს ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობის უკანონო დაკავების, წამების, მძევლად აყვანისა და იძულებით გადაადგილების საქმეებზე სამი პირის – მიხაილ მინძაევის, გამლეტ გუჩმაზოვისა და დავით სანაკოევის – დაკავების ორდერები გასცა – "ICC-ის ინფორმაცია" .

18 წლის შემდეგ აგვისტოს ომი მხოლოდ წარსულის გახსენება არ არის.

ომი დასრულებულად ვერ ჩაითვლება, ვიდრე დევნილებს საკუთარ სახლებში დაბრუნების უფლება არ აქვთ; ვიდრე საქართველოს მოქალაქეებს საოკუპაციო ხაზთან იტაცებენ და კლავენ; ვიდრე ქვეყნის ნაწილი უცხო სახელმწიფოს სამხედრო კონტროლის ქვეშ რჩება.

აგვისტოს ომი და დაუსრულებელი ოკუპაცია გვახსენებს: მშვიდობა მხოლოდ სროლის შეწყვეტა არ არის. მშვიდობა თავისუფლება, უსაფრთხოება და სამართლიანობაა.

ომი დასრულდა. ოკუპაცია – არა.

სად ჩამოაგდო რუსეთმა ბომბები საქართველოში

2008 წლის აგვისტოს ომი



1 გორი და მიმდებარე სოფლები
2 ცხინვალი, სამაჩაბლოს სოფლები
3 თბილისი და ვაზიანი
4 მარნეული და ბოლნისი
5 კოპიტნარის აეროპორტი
6 სენაკი
7 ფოთი
8 ანაკლია და განმუხური
9 ხელვაჩაური
10 შირაქის ყოფილი სამხედრო აეროდრომი
11 კოდორის ხეობა
12 კასპისა და ხაშურის სოფლები
13 ბორჯომის ტყეები

წყაროები: Human Rights; Civil.ge – ის 2008 წლის ომის ქრონოლოგია

2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსეთის ავიაციამ საქართველოს თითქმის ყველა მიმართულებით შეუტია. ბომბები ჩამოაგდეს არა მხოლოდ ცხინვალის სიახლოვეს, არამედ ქვეყნის სიღრმეშიც – საჰაერო იერიშები განხორციელდა თბილისის შემოგარენიდან აჭარამდე, კახეთიდან სამეგრელომდე, მრავალჯერადი საჰაერო იერიში იყო კოდორის ხეობაზე, ასევე მიზანში იყო ამოღებული ბაქო-სუფსისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენების მიმდებარე ტერიტორიები. ეს იყო საქართველოს სამხედრო, სატრანსპორტო, ენერგეტიკული და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბიანი ომი.

წყაროები: Human Rights; Civil.ge – ის 2008 წლის ომის ქრონოლოგია

„სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის, გული – ჩემს სამშობლოს, ხოლო გვამი – თქვენთვის დამითმია მტარვალებო“

კათოლიკოს პატრიარქი ამბროსი ხელაია

2008 წლის აგვისტო მხოლოდ დაკარგული ტერიტორიებისა და დაღუპულთა სტატისტიკა არ არის – ეს არის ადამიანების ამბავი, რომლებმაც ყველაზე მძიმე წუთებში საკუთარ სიცოცხლეზე წინ ქვეყნისა და სამხედრო ფიცის ღირსება დააყენეს. ასეთი მაგალითები ბევრია...

გიორგი ანწუხელიძე

23 წლის გიორგი ანწუხელიძე, საქართველოს შეიარაღებული ძალების 41-ე ბატალიონის სამხედრო, 2008 წლის 9 აგვისტოს ცხინვალთან ბრძოლისას ტყვედ ჩავარდა. იგი გარკვეული ხნის განმავლობაში უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა.

ინტერნეტით მოგვიანებით გავრცელებულ კადრებში ჩანს, როგორ ამცირებენ და სასტიკად სცემენ ქართველ ჯარისკაცს. გიორგი წამებას არ გაუტეხავს, მტერმა ღირსება ვერ წაართვა. მისი ნეშტი მოგვიანებით ამოიცნეს და მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე დაკრძალეს. 2013 წელს გიორგი ანწუხელიძეს საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა. ის დარჩა სიმტკიცის, ბრძოლის სიმბოლოდ.

შინდისის გმირები

2008 წლის 11 აგვისტოს, სოფელ შინდისის რკინიგზის სადგურთან, მეორე ქვეითი ბრიგადის საინჟინრო ოცეული რუსული სამხედრო დანაყოფის ალყაში მოჰყვა. მსუბუქად შეიარაღებულმა ქართველმა ჯარისკაცებმა უკან დახევასა და დანებებას უთანასწორო ბრძოლა არჩიეს. შეტაკება დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა. ბრძოლაში ყველა მებრძოლი, 17 ქართველი სამხედრო დაიღუპა:

ალექსანდრე ონიანი, ემზარ წილოსანი, ვეფხვია ჯიშკარიანი, ზვიად კაცაძე, თეიმურაზ ბერიძე, ილია გაბუნია, ილია შეყლაშვილი, ირაკლი ჯანელიძე, კახა კოშაძე, ლევან მელქაძე, მარლენ ბარამია, მიხეილ დვალიშვილი, ნიკოლოზ ფორჩხიძე, რომან ზოიძე, რუსლან წულაძე, ფელიქს კაკაურიძე და შმაგი კუპატაძე. მათ იცოდნენ, რომ ძალები უთანაბრო იყო, მაგრამ თანამებრძოლები და საბრძოლო პოზიცია არ მიატოვეს. შინდისი იქცა არა მხოლოდ ტრაგედიის ადგილად, არამედ ქართული სამხედრო ღირსების სახელად – ადგილად, სადაც ჩვიდმეტმა მებრძოლმა დაამტკიცა, რომ გამარჯვებისათვის ბოლო წუთამდე უნდა იბრძოლო.

გიორგი ანწუხელიძე და შინდისის ჩვიდმეტი გმირი იმ ასეულობით სამხედროსა და მშვიდობიანი მოქალაქის სიმბოლოებად რჩებიან, რომელთა მსხვერპლის დავიწყების უფლებაც საქართველოს არასოდეს აქვს.

გმირები არ კვდებიან, ვიდრე ქვეყანას მათი სახელები ახსოვს.

ხუთი მითი, რომელიც რუსულ კოლონიალიზმს ფარავს

EU vs DiSiNFO

უკრაინელი ჟურნალისტის მაქსიმ ერისთავის სტატიის მიხედვით

ჟურნალისტმა შეისწავლა რუსეთის სამხედრო აგრესიის ბოლო 111 წელიწადი და აღმოაჩინა, რომ სხვადასხვა რეჟიმებისა თუ მმართველების დროს რუსეთი სამეზობლოში იყენებდა ერთსა და იმავე მეთოდს თავისი კოლონიალისტური მიზნებისათვის. ეს მეთოდებია - მანიპულაცია, შეჭრა, განადგურება...

იგი მიმოიხილავს რუსული კოლონიალიზმის არსს და იმ პროპაგანდისტულ მითებს, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ნიღბავდნენ იმპერიის აგრესიულ ბუნებას. უკრაინელი ჟურნალისტი ამხელს მოსკოვის სტრატეგიას, რომელიც კულტურული იდენტობის წაშლითა და ისტორიის გადაწერით ცდილობს მეზობელი ხალხების დამორჩილებას.

მისი კვლევებით: რუსეთი ხშირად მსხვერპლის როლში გამოდის და კრიტიკას „რუსოფობიად" ნათლავს, რათა თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა ჩადენილ გენოციდსა თუ ძალადობაზე. დასავლური ხედვა კოლონიალიზმზე ხშირად მცდარია, რადგან ის მხოლოდ ოკეანისგაღმა დაპყრობებს აღიქვამს და უგულებელყოფს რუსეთის მიერ სახმელეთო ექსპანსიას.

რუსეთის კოლონიალისტური და ფაშისტური იმპერია... მისი ორგანიზებული ტერორიზმი - ესაა რეალობა, რომელიც იმალება დეზინფორმაციის, მითების უკან.

„სანამ სამართლიანობა დამყარდება, მანამ ცოდნა და გაგება უნდა არსებობდეს. სანამ სამყარო არ შეწყვეტს რუსული კოლონიალიზმის პრობლემის იგნორირებას, რუსეთში რეჟიმები შეიცვლებიან, მაგრამ რუსული ფაშიზმი განაგრძობს მეზობელი საზოგადოებების ტერორს."

შუჰადა სადაქათი (სინეიდ ო'კონორი)

ის ფაქტი, რომ ეს ფენომენი ასე დიდხანს რჩებოდა იგნორირებული მთელ მსოფლიოში, რუსული პროპაგანდისტული მითების ყველაზე დიდი წარმატების ისტორიაა. განვიხილოთ ხუთი ძირითადი მითი, რომლებიც ხელს გვიშლის, დავინახოთ რუსეთი, როგორც კოლონიზატორი.

1. კოლონიალიზმი მხოლოდ დასავლური ფენომენია:

მითის თანახმად, კოლონიალიზმი მხოლოდ თეთრი დასავლელების მიერ „გლობალურ სამხრეთში" ჩადენილი ქმედებებია. სინამდვილეში, კოლონიალიზმისთვის აუცილებელი არ არის ოკეანისგაღმა ტერიტორიების დამორჩილება ან მხოლოდ ფერადკანიანი ხალხის დამონება;

რუსული კოლონიალიზმი ხშირად მეზობელი ხალხების იდენტობის წაშლასა და მითვისებაზეა ორიენტირებული - საქართველო, უკრაინა... კოლონიური იმპერია მხოლოდ ტერიტორიას არ ეხება; ეს პირველ რიგში იდენტობას ეხება და იმას, თუ როგორ ბატონობს იმპერია ამ იდენტობის წაშლით ან დასახიჩრებით, შინაგანი არასრულფასოვნების კომპლექსის ჩაგონებით, რომელიც აიძულებს ადამიანებს გაუფასურონ საკუთარი საზოგადოების კულტურა სხვა, დომინანტურ, კოლონიზატორის მიერ თავსმოხვეულ კულტურასთან შედარებით.

2. რუსეთის შეცნობა მხოლოდ მოსკოვის პრიზმითაა შესაძლებელი:

მოსკოვს საუკუნეების განმავლობაში ჰქონდა მონოპოლია იმაზე, თუ როგორ აღიქვამდა დასავლეთი მის მიერ დამორჩილებულ ხალხებს.

დამახინჯებული ცოდნა: „რკინის ფარდა" მხოლოდ საბჭოთა კავშირს არ ეხებოდა. ეს ასევე ეხებოდა „კარიბჭის დარაჯის" (gate-keeping) კულტურას, რომელიც რუსეთმა საუკუნეების განმავლობაში ააგო და ჩაახშო იმ ხალხების ხმები, რომლებიც დაამონა. მოსკოვს ჰქონდა სრული მონოპოლია უცხოელებისთვის აეხსნა, თუ ვინ ვიყავით ჩვენ, საიდან მოვდიოდით და რა იყო ჩვენი ბედისწერა.

კულტურული მიტაცება: „დიდი რუსული კულტურა" შეიქმნა დაპყრობილი ერებისგან გაძარცვული და მითვისებული ელემენტებით.

3. კოლონიზატორი მსხვერპლია, ხოლო დანარჩენი სამყარო – „რუსოფობი"

რუსეთი ყოველთვის იყენებდა საკუთარი თავის მსხვერპლად გამოყვანის რიტორიკას („დასაცავად მოვედით", „თავს ვიცავთ") ძალადობის გასამართლებლად. აღნიშნული მოხდა უკრაინაში მიმდინარე გენოციდის, 2008 წელს საქართველოში შეჭრის, 1939 წელს ფინეთში შეჭრის, თუ 1911 წელს ირანში შეჭრის დროს. როცა იმპერიას ძალადობისთვის აკრიტიკებდნენ, ეს ინათლება „რუსოფობიად", რაც იმპერიალისტური სტრატეგიაა. თავდასხმის გასამართლებლად რუსეთი ყოველთვის იყენებს საკუთარი თავის მსხვერპლად წარმოჩენის (self-victimizing) რიტორიკას. დღესაც აღნიშნული არგუმენტი ფართოდ გამოიყენება არამარტო პუტინის, არამედ იმ რუსების მიერაც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ პუტინის ოპოზიციაში არიან.

„ტერმინი «რუსოფობია» არის იმპერიული სტრატეგია, რომელიც შექმნილია იმისთვის, რომ თემა რეალური აგრესიული ომიდან აგრესორების გრძნობებზე გადაიტანოს....იმპერიალისტი ამბობს: „ ჩვენ ვართ ნამდვილი მსხვერპლი და ჩვენი მტკივნეული გრძნობები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ადამიანების სიცოცხლე".

ტიმოთი სნაიდერი, აღმოსავლეთ ევროპის საკითხებზე მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ისტორიკოსი

4. „იმპერიული უდანაშაულობა" და დანაშაულის მხოლოდ მმართველებისთვის დაბრალება:

ეს მითი გულისხმობს იმას, რომ რუსეთის მიერ ჩადენილი გენოციდი თუ დანაშაულები მხოლოდ კონკრეტულ დიქტატორებს (მეფე, სტალინი, პუტინი) ბრალდება და არა მთლიანად კოლონიალისტურ სისტემას. რუსული საზოგადოება ხშირად მოელის ლოიალობას ყოფილი კოლონიებისგან და მათზე მმართველობას არა კოლონიალიზმად, არამედ „საჩუქრად" და ალტრუისტულ აქტად მიიჩნევს.

5. მტკიცებულებათა სისტემატური განადგურება

რუსეთი ვერ იქნებოდა კოლონიზატორი, რადგან მისი ისტორიის მანძილზე მსხვერპლნი არ ჰყავს

მოსკოვი სისტემატურად ანადგურებდა ისტორიული სამხილებს. მოსკოვს შეეძლო მთელი ერი გაესახლებინა ერთ ღამეში, მაგალითად ყირიმელები ან ყალმუხები 1940-იან წლებში, მაგრამ საჯარო სივრცეში ამ დანაშაულების ფოტო ან ვიდეო მტკიცებულებების პოვნა თითქმის შეუძლებელია. რუსული პოლიტიკა საუკუნეების განმავლობაში უცვლელად მიზნად ისახავს ავთენტური წყაროების განადგურებასა და ისტორიის გადაწერას, რათა წაშალოს დაპყრობილი ხალხების იდენტობა. დაპყრობილი ხალხების ისტორიული მტკიცებულებების სისტემური განადგურება რუსული კოლონიური პოლიტიკის წარმატების განუყოფელი ნაწილია.

„რუსული პოლიტიკა, გაანადგუროს ავთენტური წყაროები და გადაწეროს ისტორია, რომლებიც ეწინააღმდეგება რუსული ცივილიზაციის დომინირების იდეოლოგიას, უცვლელი დარჩა საუკუნეების განმავლობაში და სხვადასხვა რეჟიმების ხელში.

ცოდნიდან სამართლიანობამდე. შემდეგ რა ხდება?

უკრაინელების წინააღმდეგობა ახლა შთააგონებს ყველას, ვინც იცის რუსული კოლონიალიზმის რაობა. თუ უკრაინა დაეცემა, კოლონიალისტური ტერორის დაუსრულებელი ციკლი გაგრძელდება. რუსეთი მეტ ქვეყანას დაიპყრობს, მეტ მიწას დაისაკუთრებს და მეტ უნიკალურ ხმას ჩაახშობს.

იმპერიის დასრულების საუკეთესო გზა ახლა უკრაინის შეიარაღებული ძალების მხარდაჭერაა. შემდეგ კი უნდა მოხდეს გადარჩენილთა ძიება, მათი – და არა მოძალადის მოსმენა.

„რა არის ავთენტური თქვენს იდენტობასა და მსოფლმხედველობაში და რა არის კოლონიზატორის მიერ თავსმოხვეული?" ზუსტ პასუხს ვერასდროს ვიპოვით; დეკოლონიზაცია შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ამ შემეცნებითი პროცესის დაწყებაა როგორც გადარჩენილისთვის, ისე იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის მსხვერპლისთვის.

ყველა იმპერია ინგრევა. მართლმსაჯულება და სამხედრო დამარცხება ეწევა რუსეთსაც. დანაწევრებული, განიარაღებული და დეკოლონიზებული რუსეთი არის მხოლოდ მშვიდობის წინაპირობა.

მაქსიმ ერისთავი | 10 ნოემბერი, 2023

რუსეთმა... რაც ვერ მოახერხა ტანკებით 2008 წელს და უკრაინაში წამოწყებული ომით, ახლა ცდილობს, ჰიბრიდული გზით მიაღწიოს და ჩუმად დაიპყროს საქართველო. ეს ახალი მიდგომა არ საჭიროებს არმიას, მხოლოდ სამი ინგრედიენტია საჭირო: მანიპულაცია არჩევნებში, დეზინფორმაცია და პროპაგანდა, ასევე ოლიგარქი, რომელიც შიგნიდან მიიტაცებს სხვადასხვა ინსტიტუტს.

სალომე ზურაბიშვილი, 2025 წ.

„სიცრუე მიფრინავს, სიმართლე კი კოჭლობით მისდევს უკან."

ჯონათან სვიფტი, 1710

ჩანართი მომზადებულია ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი – პროგრესის სახლის მიერ
მისამართი: 3500, ქ. ოზურგეთი, 26 მაისის ქ. N11 ა
yscozurgeti@gmail.com